

ოქმი # 2018-03

ქ. თბილისი

15 მაისი 2018 წელი

სხდომას ესწრება სპორტული საბჭოს 4 წევრი:

ვაჟა ლეჟავა
მერაბ სალუქვაძე
შოთა მამრიკიშვილი
შალვა ზამთარაძე

სპორტული საბჭოს სხდომის წევრის მერაბი სალუქვაძის წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა ვაჟა ლეჟავას კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის, ვაჟა ლეჟავას წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დასახელდა მერაბ სალუქვაძის კანდიდატურა.

სპორტული საბჭოს სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი მერაბ სალუქვაძის "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დანიშვნას.

დღის წესრიგი :

- ფედერაციის ორგანიზატორის, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის, მიერ წყვილთა რბოლაში საქართველოს ჩემპიონატის სტატუსის შეჯიბრების ჩატარების საკითხის განხილვა;

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ვაჟა ლეჟავამ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

1) ფედერაციის ორგანიზატორის, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის, მიერ წყვილთა რბოლაში საქართველოს ჩემპიონატის სტატუსის შეჯიბრების ჩატარების საკითხის განხილვა;

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, ვაჟა ლეჟავამ მოახსენა სხდომას, რომ რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომისგან შემოვიდა მოთხოვნა, რომ მის მიერ ჩასატარებელ საქართველოს თასის PRO კლასს წყვილთა რბოლაში მიენიჭოს საქართველოს ჩემპიონატის სტატუსი. სხდომის წევრებმა შოთა მამრიკიშვილმა, მერაბ სალუქვაძემ და შალვა ზამთარაძემ გამოთქვეს აზრი.

სხდომა შეჯერდა შემდეგ აზრზე:

- სპორტული საბჭოს მიერ 15 თებერვალს ჩატარებული სხდომის (სხდომის ოქმი # 2018-01) თანახმად განისაზღვრა საავტომობილო სპორტის დისციპლინები, რომელთაც მიენიჭათ საქართველოს ჩემპიონატის სტატუსი და ამ ჩამონათვალში არ არის წყვილთა რბოლა;

აქედან გამომდინარე სხდომა შეთანხმდა, რომ უარი ეთქვას რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომს მოთხოვნაზე და მის ჩასატარებელ წყვილთა რბოლას განესაზღვრა მხოლოდ საქართველოს თასის სტატუსი;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხი იქნა განხილული. სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ვაჟა ლეჟავა

სხდომის წევრი:

შოთა მამრიკიშვილი



სხდომის მდივანი:



მერაბ სალუქვაძე

სხდომის წევრი:



შალვა ზამთარაძე